



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კუტი ბალახი



კუტი ბალახი

კუტი ბალახი, ჭარელა (*Teucrium*), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. აერთიანებს 100-მდე სახეობას. მრავალწლოვანი ბალახი ან ბუჩქბალახია. უმეტესობა გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში. კავკასიაში 11 სახეობა იზრდება, საქართველოში – 5. მათგან *T. polium*, *T. orientale* და *T. nuchense* უფრო ფართოდ გავრცელებული სახეობებია. იზრდება მთის ქვედა და შუა სართყლის მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ნაბზავებზე, კლდოვან ადგილებსა და ბუჩქნარებში. ესენი მთის ქსეროფიტული მცენარეულობის (ე. წ. ტომილარიების) ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტებია. *T. polium* იხმარება საკმაზ-სახელებად, *T. orientale* დეკორატიულია.

**დ. ხინთიბიძე**

---